<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1-2 (33-34), 22 იანვარი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

4. ეს კანონი აგრეთვე ვრცელდება საქართველოს მოქალაქის იმ პირთა ოჯახებზე, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვლიდან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე უკრაინის ტერიტორიაზე მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში, უკრაინის ტერიტორიულის მთლიანობის დასაცავად, როგორც სამხედრო ან სამოქალაქო პირები – მოხალისეები და დაიღუპნენ საბრძოლო მოქმედებების დროს ან რომლებიც იმავე გარემოების გათვალისწინებით შემდგომ სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ან/და გამოაცხადა გარდაცვლილებად.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**